საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 3 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 314 ამხ. ბ. თ. გიგიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის კ. ამირაჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. ბიძინა თევდორეს ძე **გიგიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 4 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 315 ამხ. ვ. ს. ტყაბლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო მეურნეობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, სოციალისტურ მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის და დაბადების ოთხმოცდახუთ წელთან დაკავშირებით ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი, პარტიის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვლადიმერ სერაპიონის ძე **ტყაბლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 4 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 316 ამხ. ზ. ხ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისაღების გამგე ამხ. ზაურ ხვთისოს ძე **დავითაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 5 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 317 ამხ. ლ. ვ. ენდელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ენერგეტიკული სისტემებისა და ელექტრული ქსელების დაპროექტების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტის" საქართველოს განყოფილების მთავარი სპეციალისტი ამხ.

№9
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ვარლამის ძე **ენდელაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 10 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 318 ამხ. ვ. ს. ძაბახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის გაწეული ხანგრძლივი აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საზოგადოება „ცოდნის" აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის სამხედრო ცოდნისა და სამხედრო-პატრიოტული პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ბიუროს გამგეობის წევრი, თადარიგის გენერალ-მაიორი ამხ. ვალერიან სერგოს ძე **ძაბახიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 10 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 319 ამხ. მ. ა. გვასალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიუროს დირექტორის მოადგილე ამხ. მიხეილ ანტონის ძე **გვასალია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 22 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 320 ამხ. ა. პ. გელოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი აკაკი პლატონის ძე გელოვანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 22 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 321 ამხ. ო. თ. კულიშევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადებისათვის გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ახალგაზრდობის ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობისათვის გენერალ-პოლკოვნიკი ოლეგ თევდორეს ძე კულიშევი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 22 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 322 ამხ. ლ. გ. მაღნარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკის განყოფილების გამგე ამხ. ლევან გიორგის ძე **მაღნარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 22 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 323 ამხ. ი. ი. მესხიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ივლიტა იაკინთეს ასული **მესხიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 22 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 324 ამხ. ე. გ. ნეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და იურიდიული კადრების მომზადებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ამხ. ევგენი გიორგის ძე **ნეიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 22 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 325 ამხ. გ. გ. ჟვანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპეციალური კორესპონდენტი ამხ. გურამ გრიგოლის ძე ჟვანია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 22 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 326 ამხ. დ. ი. სეფიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. დავით იაკობის ძე **სეფიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 22 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 327 ამხ. შ. დ. ჩიქვაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის მომზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი შალვა დანიელის ძე **ჩიკვაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 22 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 328 ამხ. ზ. გ. ხატისკაცის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ფასწარმოქმნის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის საერთო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი, კომიტეტის წევრი ამხ. ზარიკ გურგენის ასული **ხატისკაცი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 22 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 329 ამხ. გ. დ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. გენადი დავითის ძე **ჯაფარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 22 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 330 რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ამირანაშვილი** სოსო მიხეილის ძე — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმის დირექტორი.

**არუთინოვა** ელენე იაგორის ასული — თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარი ბუღალტერი.

**გრძელიშვილი** ელისაბედ პეტრეს ასული — თბილისის სახალხო დეპუტატთა კალინინის რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების ბიუჯეტის ინსპექციის უფროსი.

**ვაშაკიძე** ტერეზა ივანეს ასული — სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარი ბუღალტერი.

**ნადირაძე** შალვა ალექსის ძე — ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების უფროსი ეკონომისტი ბიუჯეტის დარგში.

**ხვანიძე** დავით ბათლომეს ძე — წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების უფროსი ეკონომისტი ბიუჯეტის დარგში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 24 აგვისტო

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 331 ამხ. ზ. დ. აბულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, პროფკავშირულ ორგანოებში და მეტალურგიული მრეწველობის სხვადასხვა უბანზე აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. ზურაბ დავითის ძე აბულაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 24 აგვისტო

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 332 ამხ. ზ. ი. გაბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მშენებლობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ზაზა ივანეს ძე **გაბაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 24 აგვისტო

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 333 ამხ. ო. მ. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო მუშაობის დარგში, დოცენტი ოთარ მიხეილის ძე **ქაჯაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 24 აგვისტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 334 ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**არაბოვი** თევდორე გიორგის ძე — საგზაო სამშენებლო ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს კალატოზი.

**ბერიაშვილი** რომან ვასილის ძე — თბილისის ვაგონების დეპოს ზეინკალი.

**ბერიძე** გიორგი იაკობის ძე — ხაშურის გზის დისტანციის ბრიგადირი.

**დათიაშვილი** გიორგი დანიელის ძე — ხაშურის ლოკომოტივების დეპოს უფროსის მოადგილე.

**ელისეენკოვა** ანა ალექსანდრეს ასული — სამტრედიის გზის დისტანციის გადასასვლელის მორიგე.

**კეშელავა** გიორგი ნოდარის ძე — სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის თბილისის დისტანციის უბნის უფროსი.

**კიკნაძე** ნოდარ კალისტრატეს ძე — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის საწევი ქვესადგურის უფროსი.

**შანიძე** მირიან ანდრიას ძე — სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამტრედიის დისტანციის ელექტრომექანიკოსი.

**ჭულუხაძე** გრიგოლ კონსტანტინეს ძე — სადგურ რიონის მორიგე.

**ჯუფალაკიანი** რუბენ შავარშის ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 29 აგვისტო

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 335 ამხ. ვ. ლ. ჩანტლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ენერგეტიკისა და მძიმე მრეწვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვახტანგ ლეონიდეს ძე **ჩანტლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 31 აგვისტო

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 336 ამხ. ო. პ. ხოფერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში და მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ომარ პანტელეიმონის ძე **ხოფერია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 31 აგვისტო

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1983 წლის 25 აგვისტოს პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ვ. დუდჩენკოს ინფორმაცია „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთ საწარმოში შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე.

დაევალა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კვლავაც განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი თავისი სისტემის საწარმოებში შრომის კანონმდებლობის მტკიცედ დასაცავად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა და შრომითი კოლექ-

ტივების შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოს მისდამი დაქვემდებარებულ ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება და ამ საქმეში შრომითი კოლექტივების როლის ამაღლება.

* * *

პრეზიდიუმის სხდომაზე მიღებულ იქნა ცნობად საქართველოს სსრ შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს უფროსის ამხ. რ. ჩარგეიშვილის ინფორმაცია „რესპუბლიკის წყალსატევებში თევზის რესურსების დაცვისა და კვლავწარმოების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 ივლისის დადგენილების შესასრულებლად სამმართველოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

პრეზიდიუმმა დაადგინა:

საქართველოს სსრ შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველომ კვლავაც მიიღოს სათანადო ზომები თევზის რესურსების დაცვისა და კვლავწარმოების შესახებ კანონმდებლობის დარღვევათა აღმოსაფხვრელად;

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააძლიერონ სახელმწიფო კონტროლი თევზჭერის დადგენილი წესების დაცვისადმი, მიიღონ მკაცრი ზომები ბრაკონიერების წინააღმდეგ საბრძოლველად, უფრო ქმედითი დახმარება გაუწიონ ამ საქმეში საქართველოს სსრ შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებს;

საქართველოს სსრ შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს უფროსის ამხ. რ. ჩარგეიშვილის ინფორმაცია განსახილველად და მასში დაყენებული საკითხების გადასაწყვეტად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

* * *

სხდომამ განიხილა საკითხი „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად ზუგდიდის რაიონის კახათის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობის თაობაზე.

აღინიშნა, რომ ასრულებენ რა სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს, სასოფლო საბჭო, მისი ორგანოები და დეპუტატთა ფორმირებანი პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად სრულყოფენ სამეურნეო, ორგანიზატორული, კულტურულ-აღმზრდელობითი და საორგანიზაციო-მასობრივი საქმიანობის სტილსა და მეთოდებს.

№ 9
ეროვნული ბიბლიოთეკა

კახათის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო უზრუნველყოფს სოფელის სოციალური და ეკონომიკური განვითარების კომპლექსურობას, უნარიანად ზრუნავს კოლმეურნეებისათვის მაღალნაყოფიერი შრომისა და დასვენების საჭირო პირობების შესაქმნელად. მშრომელთა სამსახურშია კულტურის სახლი, სოფლის პოლიკლინიკა, გახანგრძლივებული სწავლების ორი საშუალო სკოლა ორჯერადი უფასო კვებით, სამი საბავშვო ბაგა-ბაღი, 12 სავაჭრო და 11 საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი. 1982 წელს ერთ სულ მოსახლეზე სავაჭრო მომსახურებამ შეადგინა 222 მანეთი, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურებამ — 6,3 მანეთი, მაშინ როცა საშუალო რაიონული მაჩვენებელი 4,2 მანეთს არ აღემატება.

დიდი მუშაობა წარმოებს სოფლად დემოგრაფიული სიტუაციის მართვის, შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების უზრუნველსაყოფად. უკვე მეორე წელია სოფელში არ მომხდარა არც ერთი დანაშაული; ყველა მცხოვრები ჩაბმულია საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საშუალო სკოლადამთავრებულთა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიზიდვას.

სასოფლო საბჭო და მისი აღმასკომი უნარიანად ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას მიწათსარგებლობის, გარემოს დაცვის, დაგეგმარების, აღრიცხვისა და ანგარიშგების, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

ამასთან საბჭოს საქმიანობაში შეინიშნება ზოგიერთი ნაკლოვანებაც. კერძოდ, სუსტადაა ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობის შიდა რგოლებსა და ბრიგადებში, კოლმეურნეობაში ადგილი აქვს ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით სახელმწიფო დავალებათა შეუსრულებლობას; ჯერ კიდევ არასაკმარისად ხორციელდება ღონისძიებანი მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად.

ცალკეული დეპუტატები ყოველთვის დროულად არ გამოდიან ანგარიშებით ამომრჩეველთა და შრომითი კოლექტივების წინაშე, სრულყოფას საჭიროებს საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი, არასაკმარისია მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ჯგუფის ერთობლივი მუშაობა მომჭირნეობისა და ყაირათიანობის, მატერიალური და ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ზუგდიდის რაიონის კახათის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომს:

— უზრუნველყოს XI ხუთწლედის და სასურსათო პროგრამის დავალებათა წარმატებით შესრულება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჭირნახულის უდანაკარგოდ აღებისა და მოვლა-შენახვის ორგანიზაციას, მომჭირნეობის რეჟიმის შემდგომ განმტკიცებას;

— სრულყოს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, აამაღლოს მისი ქმედითობა, მიაღწიოს იმას, რომ სოფლის თითოეული მკვიდრი იძლეოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომისადმი, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითს წარმოადგენდეს კომუნისტური ზნეობის ნიმუშს;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სესიების მომზადებისა და ჩატარების ხარისხის ამაღლებას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციას; მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას;

— გააძლიეროს დეპუტატებისადმი დახმარება სადეპუტატო მოვალეობათა შესრულების საქმეში; აქტიურად შეუწყოს ხელი მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას ამომრჩეველთა და შრომითი კოლექტივების წინაშე; განამტკიცოს და სრულყოს მათი კავშირი მოსახლეობასთან; გააღრმაოს საბჭოს საქმიანობაში დემოკრატიული საწყისები და საჯაროობა;

— სრულყოს საბჭოს საკონტროლო საქმიანობა. უზრუნველყოს საბჭოს მუდმივ კომისიებსა და სახალხო კონტროლის ჯგუფებს შორის კავშირისა და თანამშრომლობის განმტკიცება, გააძლიეროს ზრუნვა მათი ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დაევალოთ უფრო ეფექტიანად განახორციელონ საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ" კანონით მინიჭებული უფლებამოსილებანი, თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანონ ორგანიზატორული საქმიანობა, უფრო სრულად დაუქვემდებარონ იგი XI ხუთწლედისათვის დასახული სამეურნეო, სოციალური და კულტურულ-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაჭრას, საბჭოთა კანონების უცილობლივ შესრულებაზე კონტროლის გაძლიერებას, საქმიანობაში დემოკრატიზმისა და საჯაროობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

* *
*

გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი ხაშურისა და ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან გადაგზავნილი მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ზემოდასახელებული რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ბოლო დროს საგრძნობლად გააუმჯობესეს მოქალაქეთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობა.

ამასთან ხაშურისა და ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობა მშრომელთა წერილებზე ჯერ კიდევ სრულად ვერ უპასუხებს პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებულ დადგენილებათა მოთხოვნებს. კვლავ შეინიშნება მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების დაგვიანებით განხილვის და მათში დაყენებული საკითხების გადაწყვეტის გაუმართლებლად გაჭიანურების ფაქტები, ცალკეულ შემთხვევებში ყურადღებით არ ეკიდებიან და ღრმად არ

სწვდებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან გადაგზავნილ მოქალაქეთა განცხადება-საჩივრებში დაყენებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტის საქმეს, ყოველთვის როდი ხორციელდება საჭირო ღონისძიებები მშრომელთა საჭირბოროტო საკითხების ადგილზე მოსაგვარებლად; ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ და ქმედით ზომებს არ იღებენ განმეორებით და ზემდგომ ორგანოებში განცხადება-საჩივრების გადაგზავნის გამომწვევი მიზეზების გამოვლენა-აღმოფხვრისათვის; სათანადო კონტროლი არ ხორციელდება მშრომელთა წერილებთან და განცხადება-საჩივრებთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებების შესრულებისადმი.

პრეზიდიუმმა დაავალა ხაშურისა და ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა წერილებსა და წინადადებებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის 31 მარტის და „სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ამ ბოლო დროს შემოსული მშრომელთა წერილების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 9 დეკემბრის დადგენილებების მოთხოვნათა შესაბამისად დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის; ქმედითი ზომები მიიღონ მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა სხვა საკითხებიც. ყველა საკითხზე მიღებულია სათანადო დადგენილება.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების და სოფლის მეურნეობის კომისიებმა თავიანთ სხდომებზე მოისმინეს საკითხი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მცენარეთა დაცვის ბიოლოგიურ საშუალებათა დანერგვისა და გამოყენებისათვის რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში შემუშავებულია და ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები ბუნების დაცვისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალურად გამოყენებისათვის.

ფართოვდება კვლევითი სამუშაოები მცენარეთა დაცვის ბიოლოგიურ საშუალებათა წარმოებაში დასანერგავად, იზრდება მიკრობიოლოგიური საშუალებების, ფერმენტული პრეპარატების, ბაქტერიული სასუქებისა და მიკრობიოლოგიური სინთეზის სხვა პროდუქციის გამოშვება.

სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებათა ფართო ქსელი — მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ზოოლოგიის ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და სხვ. სწავლობენ მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდის სხვადასხვა ვარიანტების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვას.

მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს რესპუბლიკის მცენარეთა სახელმწიფო საკარანტინო სამსახურთან ერთად წლების მანძილზე საზღვარგარეთიდან შემოაქვს სასარგებლო მწერები და ენტომოპათოგენური სოკოები, რომლებსაც სათანადო აკლიმატიზაციის შემდეგ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ამასთან ერთდა კომისიებში აღნიშნავენ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მცენარეთა დაცვის ბიოლოგიურ საშუალებათა დასანერგავად გაწეული მუშაობა არ არის საკმარისი.

• •
•

მოისმინა რა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის ამხ. გ. მელაძის მოხსენება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისია აღნიშნავს, რომ საზოგადოება თავის საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობს სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით და მიზანდასახულად ახორციელებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს საქართველოს სსრ და საზღვარგარეთის ხალხთა შორის მეგობრობის, კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

ერთგვარად გაუმჯობესდა საზოგადოების საქმიანობა სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის და ახალი სამშვიდობო ინიციატივების განმარტების, უცხოეთის დელეგაციებისა და ტურისტული ჯგუფებისათვის საქართველოს სსრ აღმშენებლობის მაგალითზე სოციალიზმის მონაპოვართა და უპირატესობათა პროპაგანდის დარგში.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საზოგადოების ქსელი, რომელიც ამჟამად აერთიანებს მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებათა 32 რესპუბლიკურ, საოლქო და საქალაქო განყოფილებებს და 450-მდე კოლექტიურ წევრს ითვლის.

ამასთან ერთად, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების საქმიანობაში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

№ 9
ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიამ სათანადო რეკომენდაციები მისცა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა საკითხი ქ. თბილისის 26 კომისრისა და გლდანის რაიონებში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების განხორციელების შესახებ. კომისიამ აღნიშნა, რომ 26 კომისრისა და გლდანის რაიონების საწარმოებსა და ორგანიზაციებში გარკვეული მუშაობა ტარდება ახალგაზრდობის შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის, მათი განათლებისა და მაღალმწარმოებლური შრომის პირობების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობის მოთხოვნათა რეალიზაციისათვის.

ახალგაზრდობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მიმდინარე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა განაღდებისა და გადაჭარბებით შესრულების საქმეში, აქტიურად მონაწილეობს სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით უთავსებს ერთმანეთს სწავლასა და შრომით საქმიანობას.

ამასთან ერთად, ზემოაღნიშნულ რაიონებში ზოგიერთი საწარმოს ადმინისტრაცია არ იცავს კანონით გათვალისწინებულ შეღავათებს; ჯერ კიდევ ყველგან არ არის შექმნილი საჭირო პირობები მუშაობის სწავლასთან შესათავსებლად საკმარისი დახმარება არ ეწევა ახალგაზრდობას პროფესიული ცოდნისა და ჩვევების შეძენაში, დაბალია წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მოსწავლე ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის აკადემიური მოსწრება, ხშირია სწავლის მიტოვების შემთხვევები.

განსაკუთრებით ხშირია კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების განხორციელებაში დარღვევები იმ ახალგაზრდების მიმართ, რომლებიც სხვა ქალაქის სასწავლებლებში დაუსწრებლად სწავლობენ. თითქმის არც ერთ საწარმოში არ არის დაცული დებულების მოთხოვნა გზის ხარჯების 50%-ის ოდენობით ანაზღაურების შესახებ.

კომისიამ რჩევა მისცა აღნიშნული რაიონული საბჭოების აღმასკომებს დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრას; გააძლიერონ კონტროლი რაიონების ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებების მიერ შრომის კანონმდებლობისა და მოსწავლე-ახალგაზრდების შეღავათების უფლებების დაცვისადმი.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობაში ხელის შრომის მექანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

კომისიამ რჩევა მისცა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს თავის საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის, 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით და განახორციელოს ღონისძიებანი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ხელით შრომის მექანიზაციის დონის შემდგომი ამაღლებისათვის. გარდა ამისა მიიღოს ზომები XI ხუთწლედის კომპლექსური პროგრამით სოფლის მეურნეობაში დასანერგად გათვალისწინებული საწარმოო პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ტემპების დაჩქარებისათვის, მექანიზაციის ფართოდ დანერგვით მიაღწიოს ხელით შრომის შემსუბუქებას, გააძლიეროს მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობა მექანიზაციის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, ტექნიკის ახალი მიღწევების დანერგვისათვის.

* *

*

კომისიებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.